გარემარბები უტევენ კარს

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (კიევი) 1:0 (0:0).

კიევი: ბანიკოვი, სუჩკოვი, შჩეგოლკოვი, ოსტროვსკი, ვოინოვი, ტურიანჩიკი, ბიბა, სერებრიანიკოვი (ბაზილევიჩი), კანევსკი, ტროიანოვსკი, ლობანოვსკი.

თბილისი: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, პეტრიაშვილი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მსაჯი: ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

ზედმეტია ლაპარაკი გუშინდელი მატჩის მნიშვნელობაზე ორივე მოწინააღმდეგისათვის. ბრძოლა ბრინჯაოს მედლებისათვის (პირველი ორი ადგილის ვაკანსიის საკითხი უკვე მოხსნილია, ვინაიდან მოსკოვის გუნდებს - “დინამოსა” და “სპარტაკს” ცხრილის ზემო საფეხურები კონკურენციის გარეშე აქვთ დაკავებული) სწორედ ჩემპიონატის ფინიშზე გამწვავდა მთელი ძალით და კიეველებს რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ მოეპოვებინათ იგი. რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი შეძლებდნენ 2 ქულის აღებას თბილისის თანაკლუბელებთან.

მატჩის დასაწყისი ძირითადად კიეველთა გეგმით წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ იგრძნობოდა საერთო ნერვიულობა, ხშირი შეცდომები ბურთის მიღების, დამუშავებისა და გადაცემისას, კიეველებს ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ პირველი ათიოდე წუთის განმავლობაში. მწვრთნელის ჩანაფიქრით 4 ფორვარდი შეიძლება არასაკმაო ძალა აღმოჩენილიყო მოწინააღმდეგის კარის ასაღებად, ამიტომ საგანგებო დავალება მიეცა ნახევარმცველ ვოინოვს აქტიური მონაწილეობა მიეღო არა მარტო შეტევის დასაწყისში, არამედ დაბოლოებაშიც. მართალია, როგორც ვოინოვი, ისე მისი პარტნიორებიც თავდასხმის ხაზიდან ცდას არ აკლებდნენ შეესრულებინათ ეს ამოცანა, მაგრამ მწვრთნელის “ინსტრუქციას” ისინი ახორციელებდნენ ზედმეტი გულმოდგინებით და იყო ამის შესაძლებლობა თუ არა, მაინც სისტემატურად ურტყამდნენ შორი მანძილიდან. თბილისელმა მცველებმა მჭიდრო კონტროლის ქვეშ აიყვენეს მოწინააღმდეგის ფორვარდები, რომლებიც მოკლებული იყვნენ კართან მიახლოვების საშუალებას, ამიტომ საბოლოო დარტყმები სრულდებოდა საკმაოდ შორი დისტანციიდან და არაზუსტად. ორი კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ კანევსკისა და ბიბას, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მათ ვერ გამოიჩინეს საჭირო სიზუსტე და მასპინძელთა კარიც გადარჩა ხიფათს.

თბილისელთა დაცვამ მოიგერია მოწინააღმდეგის დაწოლა და თამაშმა წინ გადაინაცვ. რამდენიმე კონტრიერიშის შემდეგ, როცა საფუძვლიანად მოისინჯა სტუმრების ძალთა განლაგება საჯარიმო მოედანზე, გამოირკვა, რომ ცენტში ისინი შედარებით უკეთ მოქმედებდნენ, ვიდრე ფლანგებზე, ამიტომაც შეტევის მთავარი აქცენტი გადატანილ იქნა გარემარბებზე და უნდა ითქვას, როგორც მესხმა, ისე მეტრეველმაც საუკეთესოდ შეასრულეს მათზე დაკისრებული ფუნქციები. განსაკუთრებით აგრესიულად, მწვავედ თამაშობდა მესხი, რომელმაც არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა კიეველთა კართან. მე-13 და მე-19 წუთებზე მესხმა ზუსტი გადაცემებით თითქმის სრულიად ღია პოზიციაში გაიყვანა კარის წინ კალოევი და თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ორჯერვე ვერ გამოიყენა აუღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობანი.

მეორე ტაიმში კიეველებმა კიდევ ერთხელ სცადეს გაემეორებინათ თავიანთი შემტევი დებიუტი და კვლავ გადაისროლეს წინ ვოინოვი, მაგრამ ეს უკვე ცნობილი მანევრი იყო თბილისელთათვის, ამდენად მისი ლიკვიდირება არ წარმოადგენდა რთულ პრობლემას. წონასწორობა მცირე ხანში იქნა აღდგენილი და გარემარბებმა კვლავ წაიყვანეს გუნდი იერიშზე.

მე-11 წუთზე მეტრეველმა გადაინაცვლა ცენტრში და წამოიწყო მარავალსვლიანი კომბინაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ბარქაია და იამანიძეც. საბოლოოდ მეტრეველმა ზუსტად გადასცა ბურთი ბარქაიას და ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან გაიტანა გოლი, ერთადერთი გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა თბილისელებს - 1:0.

კიეველებმა სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში და მინდორზე გამოიყვანეს ბაზილევიჩი, მაგრამ ყველა მათი ცდა უნაყოფო გამოდგა. პირიქით, მატჩის ბოლო წუთებზე სტუმრების კართან ზედიზედ სამი სახიფათო მომენტი შეიქმნა, სადაც კალოევს, პეტირაშვილსა და მეტრეველს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. კიევის "დინამომ" დაკარგა მესამე ადგილისათვის ბრძოლის შანსები.

ზ. ცინცაძე.
"ლელო", 21 ნოემბერი, 1963 წ.